საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იულიუს კაპიტოლინუსი

იულიუს კაპიტოლინუსი (Julius Kapitolinus), III–IV სს. მიჯნის ბიზანტიელი ავტორი. იმპ. ანტონინუს პიუსის (138–161) ბიოგრაფიის შემდგენელი.

მის თხზულებაში აღწერილია იბერთა მეფის, ფარსმან II-ის სტუმრობა რომში ვაჟითა და მეუღლითურთ. ი. კ. აღნიშნავს, რომ ანტონინუსმა „ლაზებს მისცა მეფედ პაკორი" ე. ი. ბაკური (სავარაუდოა, რომ აქ ლაპარაკია მმართველის დანიშვნაზე ქვეშევრდომ ქვეყანაში). ი. კ-ის მიხედვით იბერები იმ ხალხთა შორის იყვნენ, რ-თაც სასანიანთა შაჰის, შაპურ I-ის (242–273) მიერ იმპ. ვალერიანეს (253–260) დატყვევების შემდეგ რომაელებს აღუთქვეს დახმარება იმპერატორის ტყვეობიდან დახსნაში.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970.